ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N101

2016 წლის 29 ივლისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს (ს.ევგენიძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის ამბულატორიის პირველ სართულზე მდებარე 15,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 20.46.03.012) 1 (ერთი) წლის ვადით იჯარის ფორმით აფთიაქის გასახსნელად;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სოფელ ციხისძირის ამბულატორიის პირველ სართულზე მდებარე 15,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე